# მარტივი ზმისწინების მორფო-სემანტიკა ქართულში

**მარიამ ფინდიშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

კურსის ხელმძღვნელი: თამარ მახარობლიძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი,2019**

# განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარიამ ფინდიშვილი

26.06.2019

# აბსტრაქტი


წინამდებარე ნაშრომის თემას წარმოადგენს მარტივი ზმნისწინების მორფო-სემანტიკა ქართულში. ნაშრომის ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ თითოეული მარტივი ზმნისწინი შეწყობილია ზმნებთან, რის შედეგადაც მოხდა მათი კლასიფიკაცია, თუ რომელი ზმნისწინი რომელ ზმნას დაერთვის და რა ძირითად კანონზომიერებებს ავლენს.

კვლევის პრაქტიკულ ნაწილში წარმოდგენილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან ამოღებული 3500-მდე ზმნა, რომლებსაც სათითაოდ შეეწყო ყველა მარტივი ზმნისწინი. მიღებული მასალა დალაგდა იმის მიხედვით, თუ რომელი ზმნისწინი რომელ ზმნას არ დაერთვის.

აღნიშნული მასალიდან ასევე გამოყოფილ იქნა ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ ოდნაობას, საგნის სიცოტავეს გამოხატავენ. განხილულია მო-, წა- და შე-ზმნისწინების სემანტიკური ველები. ასევე განხილულია ზმნები, რომლებიც სხვადასხვა მარტივი ზმნისწინების დართვით იცვლის მნიშვნელობას. ე.ი ზმნისწინს აქვს როგორც ფორმათმაწარმოებელი, ასევე სიტყვათმაწარმოებელი ფუნქციაც.

კვლევის პროცესში ასევე განხილული იყო მოსაზრებები ზმნისწინის ფუნქციებთან დაკავშირებით. ნაშრომში წარმოდგენილია ცხრილები, სადაც ნათლად ჩანს, თუ რომელი ზმნისწინი რომელ ფუნქციას ასრულებს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ზმნები, რომლებიც მარტივ ზმნისწინებს არ დაირთავს უმეტესად წარმოადგენს ობ- და ებ- თემისნიშნიან ზმნებს. ასევე განხილული ზმნების მაგალითზე მკვეთრად გამოვლინდა ზმნისწინის ათი ფუნქცია.

წარმოდგენილი ნაშრომი მნიშვნელოვანია მომავალი კვლევებისთვის, რადგან უფრო ღრმა და დეტალური დასკვნების გაკეთება იყოს შესაძლებელი.



საკვანძო სიტყვები: მორფო-სემანტიკა, ზმნისწინი, სემანტიკური ველები, ფორმათმაწარმოებელი, სიტყვათმაწარმოებელი, ზმნისწინის ფუნქციები.

## Abstract

The subject of this thesis is morpho-semantics of simple preverb in Georgian language. The value of the work is that each simple preverb is adapted to verbs, which resulted in their classification of which preverb is attached to the verb and what are the basic laws of the mentioned.

The practical part of the study represents up to 3500 verbs extracted from the Georgian language explanatory dictionary, which have been simultaneously adapted to all simple preverbs. The derivative material was sorted according to which preverb is attached to this or that verb.

From the mentioned materials there are some verbs, which indicate the volume of the subject – its fewer amounts. The thesis discusses the semantic fields the verbs such as mo-, c'a- and s'e-. There are also verbs that change the meaning as a result of attaching various simple preverbs. So, it turns out that the preverb has both a form-production as well as word-production function.

The research also covers the views regarding the preverbs function. The work provides with the spreadsheet, which clearly shows the functions of each preverb.

The study revealed that verbs that do not attach simple preverbs are frequently the verbs with ob- and eb-. Also, ten functions of the preverbs are highlighted on the example of the verbs as well.

The present work is important for future studies, as it enables to develop more profound and detailed conclusions.



Keywords: morpho-semantics, preverb, semantic fields, form-producing, word-producing, preverbs function.